პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 229 (6284)

1978 წ. 23 ნოემბერი. ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

რა სჯობს შემოდგომის სიხხამ დილით, სუფთა ჰაერზე ტოლ-სწორთან შეხვედრას, მასთან ერთად თამაშსა და სირბილს, მაგრამ თუ ეს ხდება უფრო ფართო მასშტაბით, სპორტული ღონისძიების სახით, მით უკეთესი!

მოსწავლეთა შერეულ მძლეოსნურ კროსებს [illegible] რომ ვარჯიშობენ [illegible] და ამჟამად უფრო მოსახლეობისა თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის სპორტული მუშაკების მიერ ამას წინათ აქ ჩატარებული მოსწავლეთა ასპარეზობა. დილის სიცხოვრებელ მასივში მოზარდები ერთმანეთს შეეჯიბრნენ მძლეოსნურ კროსში 500 და 1000 მეტრზე.

ს უ რ ა თ ზ ე: გოგონათა ერთი ჯგუფი 500 მეტრზე რბენის დროს.

ე. ხუცურაულის ფოტო.

## საინფორმაციო ცნობა

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

21 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმი.

პლენუმზე მიწვეული იყვნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ მინისტრები და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები კაპიტალური მშენებლობის დარგში, მთელი რიგი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები და პარტიული კომიტეტების მდივნები, მეცნიერების მუშაკები, სამშენებლო წარმოების მოწინავენი.

პლენუმმა განიხილა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები კაპიტალური მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დონის შემდგომი ამაღლების საქმეში.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. გ. ვ. კოლბინმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ბ. ვ. ადლეიბა, თბილისგვირაბმშენის № 29 შახტის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. კ. მ. ლიუბავსკი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. ნ. ა. ჟითანავა, საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ა. ვ. კობაიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ბ. დ. გაბუნია, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ამხ. ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. დ. რუხაძე, სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი ამხ. ზ. გ. ბენძეხაძე, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ამხ. ნ. ა. მეძმარიაშვილი, საქართველოს სახმშენის თავმჯდომარე ამხ. გ. ზ. მირიანაშვილი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ამხ. ი. ა. ხარატიშვილი, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის უფროსი ამხ. ა. ი. ბუაძე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. ი. ნ. ჩხენკელი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ამხ. ე. ე. კაპბა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ა. ასლანიკაშვილი, საქმთავარმონტაჟსპეცმშენის რუსთავის „მექანმონტაჟის" სამმართველოს უფროსი ამხ. ა. ა. ავეტისოვი.

პლენუმზე გამოვიდა სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრი ამხ. გ. ა. კარავაევი.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა, აგრეთვე, ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებად დამტკიცდნენ: ამხ. გ. ი. გვეტაძე — ადმინისტრაციული ორგანოებისა, ამხ. ვ. მ. ხინთბა — უცხოეთთან ურთიერთობისა, ამხ. დ. ლ. ქართველიშვილი — საგეგმო და საფინანსო ორგანოებისა, ამხ. შ. ზ. ბერიანიძე — ვაჭრობის და საყოფაცხოვრებო მომსახურებისა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ა. ვ. პოტაპოვმა. (საქინფორმი).

## ჯილდო ჩემპიონს

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა, არმიის გენერალმა ნ. ა. შჩოლოკოვმა მიიღო ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე. შედგა გულთბილი საუბარი, რომლის დროს მინისტრმა აღნიშნა, რომ მაიამ თავისი გამარჯვებებით კიდევ უფრო აამაღლა საბჭოთა სპორტის, სპორტული საზოგადოება „დინამოს" ავტორიტეტი. ნ. ა. შჩოლოკოვმა აღნიშნა, აგრეთვე, მოჭადრაკის დიდი ტალანტი, მისი შრომისმოყვარეობა, მიზანსწრაფვა. ბრწყინვალე სპორტული მიღწევებისთვის მაია ჩიბურდანიძე დაჯილდოვდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატიო სიგელით და სამახსოვრო საჩუქრით. დასასრულ, მინისტრმა მოჭადრაკე ქალს უსურვა შემდგომი წარმატებები სპორტში, სწავლაში, კეთილდღეობა, ჯანმრთელობა და ბედნიერება.

ნ. პეტროვი.

(„კომსომოლსკაია პრავდა").

## გამარჯვებულნი დაბრუნდნენ

20 ნოემბერს გვიან საღამოს თბილისში ჩამოვიდნენ ბუენოს-აირესში გამართულ მე-8 საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებულნი — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია. საქმეებმა მოსკოვში დააყოვნეს მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე.

თბილისის აეროპორტში მოჭადრაკეებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. ნანა ალექსანდრიამ კორესპონდენტებს განუცხადა:

— ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ კვლავ დავიცავით საბჭოთა ქალთა საჭადრაკო სკოლის მოწინავე პოზიციები. გამარჯვება მნიშვნელოვანი იყო. არ წაგვიგია არც ერთი მატჩი და წინასწარვე მოვიპოვეთ ოლიმპიადის ჩემპიონთა წოდება. ამ დღეებში ბუენოს-აირესში მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში. ფიდეს კონგრესმა ნონა გაფრინდაშვილს მიანიჭა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება ვაჟთა შორის. (საქინფორმი).

• • •

გუშინწინ თბილისში დაბრუნდა მსოფლიოს ჩემპიონი მ. ჩიბურდანიძე.



## გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში

დაიწყო „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ღია პირველობა კალათბურთში. მოედანზე ჯერ მინსკის რტისა და ჩელიაბინსკის „დინამოს" გუნდები გამოვიდნენ. უფრო გამოცდილმა მინსკელებმა უკვე პირველ ტაიმში მოიპოვეს მნიშვნელოვანი უპირატესობა (61:42) და საბოლოო ჯამში — გამარჯვებაც — 100:87.

შემდეგ ერთმანეთის პირისპირ ძველი მეტოქენი — „დინამო" (მოსკოვი) და ვეფ (რიგა) დადგნენ. დინამოელებმა შეძლეს თამაშის პირველ ნახევარში მოპოვებული მარაგის (61:53) შენარჩუნება და გამარჯვება — 114:110.

თბილისის „დინამოსა" და ტალინის „კალევის" შეხვედრაში გაიმარჯვეს სტუმრებმა—84:77 (39:37).

### ვილნიუსის ტური

ლიტვის დედაქალაქში დაიწყო უმაღლესი ლიგის (12 გუნდი) ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტური. გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა მოსკოვის „დინამომ" დიდი ანგარიშით 110:62 (62:30) დაამარცხა ნოვოსიბირსკელი თანაკლუბელები, რიგის ტტტ-მ ასევე დამაჯერებლად სძლია ლენინგრადის „ბურევესტნიკ" — 101:37 (54:18), მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა" მოუგო კიევის „დინამოს" — 95:69 (45:31), ცსკა-მ — დნეპროპეტროვსკის „სტალს" — 81:64 (52:31), ვილნიუსის „კიბირკშტისმა" — ალმა-ათის „უნივერსიტეტს"—75:73 (37:31), ლენინგრადის „სპარტაკმა" — სვერდლოვსკის „ურალმაშს" — 76:69 (32:32).

ჩემპიონატის პირველი წრე 27 ნოემბერს დამთავრდება. ჯერჯერობით დაუმარცხებლად იბრძვიან მოსკოვის „დინამო" და მოსკოვის ოლქის „სპარტაკი", რიგელებს ერთი წაგება აქვთ.

კალათბურთი

## მშვილდოსნობა

ორჯონიკიძეში გრძელდება სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების ნაკრები გუნდების პირველობა მშვილდოსნობაში. ამ ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკიდან თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივები მონაწილეობენ.

როგორც ორჯონიკიძიდან ტელეფონით გვაცნობეს, პირველი ორი დღის შემდეგ დაწინაურდნენ ჩვენი გუნდები. პირველ ადგილზე არიან უნივერსიტეტის სპორტკლუბის მშვილდოსნები, ხოლო მეორეზე — მომავალი ინჟინრები.

ქალთა პირად შეჯიბრებაში დიდი უპირატესობით წინ არის თბილისის უნივერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის ლაბორანტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ქ. ლოსაბერიძე — 1336 ქულა. მ-1 ვარჯიშში ასეთი მაჩვენებელი მსოფლიოში დღემდე არც ერთ სპორტსმენს არ მოუპოვებია.



# მქვსი გუნდის მონაწილეობით

გუშინწინ საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში სტარტი აიღო რესპუბლიკის ჩემპიონატმა წყალბურთში.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების, თბილისის უნივერსიტეტის, ბათუმისა და ქუთაისის „განთიადის" გუნდები. ასპარეზობაში უკონკურსოდ გამოდის თბილისის უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლის ნაკრები.

შეჯიბრების პირველ დღეს ქუთაისის „განთიადისა" და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის გუნდების შეხვედრა დაძაბულად წარიმართა. მეტოქეებმა თანაბარი რაოდენობის (5:5) ბურთები გაიტანეს და საბოლოოდ ქულები თანაბრად გაიყვეს, ფრე აღინიშნა, აგრეთვე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტკლუბისა და ბათუმის „განთიადის" გუნდებს შორის — 6:6. მესამე შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თბილისის უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლისა და უნივერსიტეტის გუნდები — 6:4.

### გუშინ

გაიმართა კიდევ სამი შეხვედრა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წყალბურთელებმა გამანადგურებელი ანგარიშით მოუგეს ქუთაისელ განთიადელებს — 11:0. უნივერსიტეტელებმა დაამარცხეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის წარმომადგენლები — 10:6. ბათუმის „განთიადისა" და თბილისის უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლის წყალბურთელთა შეხვედრა გვიან საღამოს გაიმართა.

**ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბისა და ქუთაისის „განთიადის" წყალბურთელების შეხვედრის მომენტი.**

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ველოსპორტი

საქართველოს პირად-გუნდური პირველობა

# გ ა მ ო ც დ ა რთულ ტრასაზე

**სოხუმის** მიდამოებში, იქ, სადაც 5 დეკემბერს უნდა ჩატარდეს საკავშირო ჩემპიონატი ველოკროსში, გასულ შაბათს გაიმართა ჩვენი რესპუბლიკის პირად-გუნდური პირველობა. ამ შეჯიბრების მიზანი იყო საკავშირო ტურნირისთვის უძლიერესი სპორტსმენების შერჩევა. მასში თბილისის (2), აფხაზეთის, აჭარის, რუსთავის, ქუთაისის და ზესტაფონის კოლექტივები მონაწილეობდნენ. უკრაინის ნაკრები, რომელიც საკავშირო ჩემპიონატისთვის აქ ემზადება, ტურნირში უკონკურსოდ გამოდიოდა.

წარმატება საკმაოდ რთულ ტრასაზე დიდად იყო დამოკიდებული კარგ სტარტზე, ვინაიდან შემდეგ გზა ვიწროვდებოდა, რაც გარკვეულ სიძნელეებს უქმნიდა ჩამორჩენილებს.

ასპარეზობა მარჯვედ დაიწყეს თბილისელებმა ი. წაქაძემ, ი. პოპოვმა და უკრაინელთა გუნდის წევრმა ვ. ნაბოიჩიკმა. მათ პირველი ძნელი აღმართი და რამდენიმე წინაღობა ამ თანმიმდევრობით გაიარეს. მაგრამ, როცა ძნელად დასაძლევი დაღმართი დაიწყო, დიდი სისწრაფით მიმავალი წაქაძე დაეცა და ლიდერებს ჩამორჩა. ამის შემდეგ ნაბოიჩიკსა და პოპოვს უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ. ისინი ყოველ წრეზე ცვლიდნენ ერთმანეთს, წრე კი 150-მეტრიანი ძნელი აღმართით იწყებოდა. სპორტსმენები იძულებულნი იყვნენ იგი ფეხით აერბინათ, მხოლოდ თბილისელმა ი. რთველიაშვილმა შეძლო ამ აღმართზე ველოსიპედით ოთხჯერ ასვლა, რამაც მას საშუალება მისცა ლიდერთა შორის ჩამდგარიყო.

პოპოვი უკანასკნელ წრეზე, თითქმის 20 წამს უგებდა ნაბოიჩიკს და 2 წუთს ი. რთველიაშვილს, მაგრამ, როცა ფინიშამდე აღარც ისე ბევრი იყო დარჩენილი, მანქანა დაუზიანდა. სპორტსმენს ისღა დარჩენოდა ფინიშამდე მხარზე ველოსიპედით ერბინა, ამასობაში ნაბოიჩიკმა დისტანცია დაამთავრა: 24 კილომეტრი 1 საათსა და 4 წუთში დაფარა. პოპოვი გამარჯვებულს 10 წამით ჩამორჩა, თუმცა რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი სწორედ მას მიეკუთვნა. ნაბოიჩიკი უკრაინელთა გუნდიდან ერთადერთი იყო, ვინც რბოლა დაამთავრა. ტრასის ძნელ გამოცდას სხვა ბევრმაც ვერ გაუძლო.

II და III ადგილებისთვის დავა ჰქონდათ ი. რთველიაშვილსა და რუსთაველ ვ. ვარსიმაშვილს. უკანასკნელ მონაკვეთში მათი დუელი სპრინტერთა რბოლას ჰგავდა, საბოლოოდ ვარსიმაშვილმა, რომელიც ორიოდე წამის წინ დაცემის გამო ფინიშისკენ ფეხით მიეშურებოდა, ისარგებლა იმით, რომ მეტოქეც დაეცა და ფინიშთან მეორემ მიირბინა. რთველიაშვილი III ადგილს დასჯერდა.

გუნდური ტურნირი თბილისის პირველმა ნაკრებმა მოიგო, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ რუსთავის, თბილისის II, აჭარის, აფხაზეთისა და ზესტაფონის კოლექტივები.

**ა. გუნია,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ფიზკულტურულ კოლექტივებში

●

# საინტერესო წინადადება

**თბილისის** სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის“ ფიზკულტურული კოლექტივის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მოხსენებით გამოსულმა ამ კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარემ ა. მეტრეველმა ილაპარაკა ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს მიერ ბოლო ორი წლის მანძილზე გაწეულ საქმიანობაზე. ახლა „ამირანის“ მუშა-მოსამსახურეთა ნახევარზე მეტი სპორტსაზოგადოება „განთიადის“ წევრია, ფიზკულტურელთა რაოდენობამ 385 კაცს მიაღწია. წარმატებით სრულდება ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები, წლევანდელი დავალება კი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 61-ე წლისთავისათვის შესრულდა.

ფაბრიკის ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა ბევრი რამ გააკეთეს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებისთვის, რამაც ხელი შეუწყო ფიზკულტურული მუშაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლას.

ამავე დროს ჯერ კიდევ საკმაოა ნაკლიც: საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებები ყოველთვის როდი სრულდება. პოზიციები დათმეს კალათბურთელმა ვაჟებმა. არის შემთხვევები, როცა ზოგიერთ საამქროში არ ხერხდება ხოლმე საწარმოო ტანვარჯიშის ჩატარება.

კონფერენციის მონაწილეებმა დააყენეს საინტერესო საკითხი იმის შესახებ, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ტყავის საწარმოო გაერთიანების, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“, წინდების გაერთიანება „კრწანისის“, ტრიკოტაჟის № 2 ფაბრიკისა და „ამირანის“ წილობრივი წესით აშენდეს დახურული სპორტული კომპლექსი საცურაო აუზით. ამ წინადადების ლადებითად გადაჭრა ხელს შეუწყობდა არა მარტო იმ ორგანიზაციების, არამედ კიროვის რაიონის სპორტული ბაზებით უზრუნველყოფას.

**ჯ. მორგოშია.**

ივანე ბოჭორიძე 60 წლისაა



# ს ა ქ მ ი თ გ ა მ ო რ ჩ ე უ ლ ი

**ამ წერილზე საიუბილეო არ ითქმის, საიუბილეო წერილები სხვაგვარად იწერება — ბიოგრაფიული გზის შეფასება-ანალიზით და მოჭარბებული ქათინაურებით. გამონაკლისი არც ესოდენ იშვიათია, თვით იუბილართა ხასიათიდან და ბუნებიდან გამომდინარეობს. მეც სწორედ ამ გამონაკლისით ვსარგებლობ.**

**30-იანი** წლების ფიზკულტურული მოძრაობის ენთუზიაზმმა წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. ეს ენთუზიაზმი უფროსი თაობისაგან იმთავითვე შეითვისა მაშინდელმა ახალგაზრდობამ და აგერ უკვე ათეული წლების შემდეგ დღევანდელმა თაობამ შეიძლება სიამაყით თქვას — „ნანერგითა შენით მარგე“.

საქართველოში ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის პატრიარქთა სახელებს, იმათ, ვინც ყამირზე პირველი ხნული გაავლო, კრძალვითა და მოწიწებით იხსენებს შთამომავლობა. ამავე დროს ყურადღებით ეკიდება იმათ ღვაწლსა და ამაგს, ვინც საქმით აღასრულა წინაპართა ნაფიქრ-ნააზრევი. ეს ის თაობა და მისი ღირსეული წარმომადგენლები არიან, რომლებიც უკვე 40-იანი წლების დასაწყისიდან სათავეში ჩაუდგნენ საქართველოს ფიზკულტურულ მოძრაობას და ძალღონე არ დაუზოგავთ მისი წინსვლა-დაწინაურებისთვის. სწორედ ამ ადამიანთა შორისაა საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე ივანე ბოჭორიძე, რომელსაც დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

ნათქვამია, ვინც ადამიანს პირადად არ იცნობს, მისი საქმით გაიცნობსო. ივანე ბოჭორიძის ნაღვაწ-ნაამაგარს არ სჭირდება ჩამოთვლა და გაცნობა, რადგან ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა მას პირადადაც კარგად იცნობს და საქმითაც. საქმისადმი ერთგულება და სიყვარული კი ჭაბუკობიდანვე მოსდევს — კაცის უპირველეს მოვალეობად უანგარო გარჯა მიაჩნდა იმთავითვე. მუშაობდა და მუშაობს უჩუმრად და უხმაუროდ, როგორც ეს ჭეშმარიტად ღირსეულ ადამიანებს სჩვევიათ, „ჭეშმარიტი ღირსება კი, — როგორც ილია ამბობდა, — საქმითა თავისითა ჰლაღადებს და არა ყვირილითა და დაფა-ზურნითა“.

ბუნებით იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც ამ ქვეყანაზე ბევრი რამ კარგი გაუკეთებიათ და მაინც უკმარობის გრძნობა არ აძლევთ მოსვენებას. ჰაიჰარად და წინდაუხედავად არასდროს არაფერს განსჯის. საქმიდან თუ არაფერი გამოვა, არც თავად აიდევნება და არც სხვას მოაცდენს, მაგრამ როცა უკვე განსჯილ-შეფასებულს ხელს მოჰკიდებს, უკან ვეღარავინ დაახევინებს. ვამბობ ამას და მახსენდება უამრავი კეთილი საქმე, მახსენდება რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში გაშენებული სპორტული დარბაზები, სტადიონები, საცურაო აუზები, ალპიური კლუბი „აილამა“... შეუძლებელია ყველას ჩამოთვლა. თითოეულ მათგანში ივანე ბოჭორიძის გარჯა და ამაგიცაა ჩაქსოვილი. მაგრამ ამას ვერ უხსენებ.

— რაც გაკეთდა და რაც კეთდება საქართველოს პროფსაბჭოს, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების შეთანხმებული და ერთობლივი მუშაობის შედეგიაო, — ასე ამბობს ტრიბუნიდან, ასე წერს ოფიციალურ წერილებში. ეს ჩვენც კარგად ვიცით, მაგრამ ხომ არ შეიძლება თაოსნისა და ბოლომდე საქმის მიმდევარი კაცის ამაგი დავივიწყოთ. მერე და როგორ გვჭირდება ამგვარი ადამიანები.

ბევრჯერ დავსწრებივარ ი. ბოჭორიძის ხელმძღვანელობით ჩატარებულ სხდომებს და თათბირებს, მომისმენია მისი გამოსვლა კონფერენციებზე და პლენუმებზე. იგი ყოველთვის კონკრეტულია და საქმიანი. ვაგლახად ვერავინ შეეცდება მისი თანდასწრებით შეალამაზოს და შეაფერადოს სინამდვილე, ასე ვთქვათ, „ობიექტურ მიზეზებს“ გადააბრალოს პირადი უნიათობა. ხელქვეითს ყველაფერს აპატიებს, რისი პატიებაც შეიძლება, მაგრამ გულგრილობას, უუნარობასა და დაუდევრობას კი — არა.

სამსახურებრივი ბოროტება ამგვარი ყოვლად უმსგავსო შენდობით იწყებაო, ბევრჯერ გამიგონია მისგან. ამავე დროს გულისყურით ეკიდება ინიციატივიანი და სიახლის მაძიებელი ადამიანების აზრს და წინადადებას. გაჭირვების ჟამს ხომ ყველას თანამდგომი და პირველი მომხმარეა...

* * *

სამართლიანობამ და პრინციპულობამ გაუკვლია გზა რიგითი სპეციალისტიდან ხელმძღვანელ მუშაკამდე. ყველაფერი კი ფიზკულტურის მასწავლებლობით დაიწყო. შემდეგ იყო თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, სპორტსაზოგადოება „[illegible]“ თავმჯდომარე, [illegible] საქართველოს [illegible] კომიტეტის ფიზკულტურისა და სპორტის სექტორის გამგე, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე... ცხოვრებაში ამგვარ წარმატებას მხოლოდ ის ადამიანები აღწევენ, ვისაც ზედმიწევნით კარგად აქვთ გამომუშავებული პროფესიული ალღო, ვისაც სიახლის შეგრძნებისა და თაოსნობის გამორჩეული უნარი აქვს.

ზოგიერთივით დროის შესაფერისად არც ხასიათი გამოუცვლია და არც პრინციპები. დღესაც თავდაჯერებული მიუყვება ერთხელ არჩეულ გზას. ეს გზა მისი ცხოვრების მთავარი გზის განუყოფელი ნაწილია. [illegible] და [illegible] ორივეც საკუთარი მარჯვენითა და გონებით აქვს გაწაფული.

ის ახლა 60 წლისაა. 60 წელი ვისთვის მძიმე ტვირთია, ვისთვის ჯერ კიდევ ახალგაზრდული ენერგიისა და გატაცებათა ჟამი, ვისთვის შემოდგომის პირია, ვისთვის — ჯერაც თესვისა და უხვი მოსავლის მოლოდინის ხანა...

პატივცემულ ივანეს ამ დღეებში საქართველოს პროფსაბჭოში მივაკითხე. ბოლო ექვსი წელიწადია აქ მუშაობს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგედ. კარგად მახსოვს, რა ჩაიბარა. ახლა კი ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირული სპორტული საზოგადოებები საქართველოს ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის ავანგარდში არიან, პროფკავშირული სპორტული ორგანიზაციების მართვის სისტემის სრულყოფისა და განმტკიცების გზით მიდის. ახალი სიმაღლეებისკენ ილტვის მუშათა სპორტი, რომელშიც მკაფიოდ მოჩანს პროფკავშირების მიერ მშრომელთა შორის გაწეული ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის შედეგები.

იუბილარი კაბინეტში არ დამხვდა. საფინანსო-საგეგმო განყოფილებაშიაო, — მითხრეს თანამშრომლებმა. იქიდან მობრუნებულს ის იყო იუბილე მივულოცე, რომ ტელეფონმაც დარეკა — პროფსაბჭოს მდივანთან სთხოვდნენ. მერე კი სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნუგზარ ასათიანი და მშენებლები ელოდნენ. ერთად უნდა წასულიყვნენ სპორტის სასახლესთან იმ ადგილის დასათვალიერებლად, სადაც საქართველოს პროფსაბჭოს ნანატრი საცურაოს მშენებლობის დაწყება აქვს გათვალისწინებული.

მივხვდი, რომ იმ დღეს ჩემთვის აღარ ეცალა. თანაც განზრახვა რომ გავანდე, აშკარად მაგრძნობინა, რომ არც იმ გამონაკლისზე დამთანხმდებოდა წერილის დასაწყისში რომ მოგახსენეთ. ის დავწერე, რაც ვიცოდი და როგორც ვიცნობდი — მხოლოდ სამადლობელო სიტყვა მის მიერ გაწეული ამაგისთვის. საიუბილეო თარიღი 60 წლის შემდეგაც არის, ამომწურავი და ჭეშმარიტად საიუბილეო სიტყვაც მომავლისთვის გადავდოთ.

**თ. გაჩეჩილაძე,**
**„მართვეს“ რედაქტორის მოადგილე.**



# ნათლობა მწვერვალ ყუროზე

**დარიალის** ხეობაში, იქ, სადაც მდინარე ხდე თერგს ერთვის, თბილისელ სპორტსმენთა მასობრივი ალპინიადის მონაწილენი დიდი გატაცებით ვარჯიშობდნენ მთამსვლურ ტექნიკაში. მათი საერთო ფიზიკური მომზადების გაუმჯობესებას ერთგვარად ხელს უწყობდა აქვე, ალპინისტთა ბაზის მშენებლობაში მონაწილეობაც.

სწორედ მწვერვალებზე ასვლის დღეს ამინდი შეიცვალა — მზე ღრუბლებმა დაფარა, ნისლი ჩამოწვა, მაგრამ დათქმულ დროს ლაშქრობა დაიწყო...

...20-კაციანი ჯგუფი 2ა კატეგორიის სირთულის მწვერვალ „გორისკენ“ გაემართა, ახალბედების 30-კაციანმა რაზმმა კი 1ა კატეგორიის სირთულის მწვერვალ ყუროს შეუტია.

ორივე მწვერვალისკენ შუალამისას დაიძრა ჯგუფები, მაგრამ გამოცდილი ინსტრუქტორები თ. თექთუმანიძე, თ. ახალბედაშვილი, ე. ალავერდაშვილი, შ. ქირიკაშვილი, ზ. სუჯაშვილი და ბ. წიკლაური სიბნელეშიც ადვილად მიიკვლევდნენ ნაცნობ გზას.

ნაშალ ფერდობებს კლდოვანი მონაკვეთები ცვლის, მას კი — თოვლით ჩაფენილი კულუარები. ბოლოს დიდი დაქანების ქედია, რომელიც მწვერვალზე გადის, იქიდან ხელისგულივით მოჩანს ყაზბეგის რაიონის სოფლები და კავკასიონის მწვერვალები.

შუადღისას მწვერვალ ყუროზე ახალბედები ალპინისტურ ნათლობას ულოცავდნენ ერთმანეთს...

**დ. ოგოლაძე,**
**საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

● ● ●

სურათზე: მწვერვალი „ყურო“.

დ. თარხნიშვილის ფოტო.

## ფეხბურთი

# მეორე ცდის წინ

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საგზურით გუშინ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას გაემგზავრა ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელთა გუნდი. გამგზავრების წინ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა გუნდის უფროს მწვრთნელს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს შ. კაკაბაძეს.

— **გასული** სეზონი ჩვენთვის ძალზე ძნელი და მომქანცველი იყო, — თქვა მან. — გათამაშების კალენდარი წელს საკმაოდ გართულდა აღმოსავლეთის ქალაქების — ნიჟნი ტაგილის, კიროვის, პერმის, უფას, ნაბერეჟნიე ჩელნის ჩართვის შედეგად ჩვენს ჯგუფში. საქმე მხოლოდ შორ მანძილებზე კი არ არის, არამედ იმაში, რომ ამ მხარისა და საქართველოს შორის კლიმატური განსხვავება საკმაოდ დიდია. მაგალითად, ოქტომბერში, როცა ჩვენში 18-20 გრადუსი სითბო იდგა, მეტოქეთა სტადიონებზე ტემპერატურა 0 და ზოგჯერ მინუს 2 გრადუსს აღწევდა, თამაში თბილი სპორტული კოსტიუმებით გვიხდებოდა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ უხეიროდ შედგენილი კალენდარი ზოგჯერ ზედიზედ 6 გასვლით მატჩს ითვალისწინებდა.

მიუხედავად ამისა, „გურია“ ამ ჩემპიონატშიც ცუდად არ გამოსულა. ჩვენ II ადგილი დავიკავეთ ზონაში და გამარჯვებულს — პერმის „ზვეზდას“ მხოლოდ ქულით ჩამოვრჩით. აღსანიშნავია, რომ „ზვეზდამ“ პირველ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა, როგორც ზონაში II ადგილზე გამოსულმა, ჩვენს გუნდს უფლება მიეცა კვლავ მიიღოს მონაწილეობა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში.

ცხადია, თასის ახალი გათამაშება, რომელიც თებერვალში დაიწყება, ბევრს გვავალებს. აქვე უნდა ითქვას, რომ მომავალ წელს გუნდს, ალბათ, გამოეთხოვება 3-4 ასაკგადაცილებული ფეხბურთელი და მათს ადგილს დაიკავებს რესპუბლიკის პირველობაში მონაწილე რამდენიმე ნიჭიერი მოთამაშე. აქვე ისიც უნდა ითქვას რომ ახლახან „გურიიდან“ თბილისის „დინამოში“ გადავიდა გუნდის კაპიტანი, ცენტრალური მცველი გია თავაძე.

მშენებლები გვპირდებიან, რომ სწორედ თასის პირველი მატჩის წინ შევა მწყობრში ლანჩხუთის ახალი, თანამედროვე ტიპის სტადიონი, რომელსაც ფეხბურთის მინდორთან ერთად მძლეოსნური სექტორებიც ექნება. მის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ რაიონის მშრომელები, ახალგაზრდობა, კომკავშირი, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები და, ცხადია, ჩვენი გუნდის უშუალო შეფი, ადგილობრივი ავტოსატრანსპორტო სამმართველო.

## შოთა შავგულიძის პრიზზე

სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის თასის ტრადიციული გათამაშება რესპუბლიკის II ლიგის ფეხბურთელთა გუნდებისთვის წლეულს ალებური წესით ჩატარდა. ზუგდიდში თავი მოიყარეს ადგილობრივი, ბათუმისა და სოხუმის დინამოელებმა და სამტრედიის „ლოკომოტივმა“.

ტურნირი გაიმართა ოლიმპიური სისტემით. პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ სოხუმისა და ბათუმის დინამოელები. გაიმარჯვეს სოხუმელებმა — 2:1. შემდეგ ითამაშეს ზუგდიდის „დინამომ“ და სამტრედიის „ლოკომოტივმა“. ზუგდიდელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე — 6:0.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ზუგდიდისა და სოხუმის „დინამოს“ გუნდები. საინტერესო მატჩი მოიგეს მასპინძლებმა (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. ხურცილავა), რომლებმაც 2 უპასუხო ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში (კვარაცხელია და დარჯანია). ზუგდიდელებს გადაეცათ შ. შავგულიძის სახელობის თასი.

# ჩემპიონებს ეძღვნებათ

**კ. მარქსის** სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა. აქ ხშირად ეწყობა ჩვენი სპორტული ცხოვრების სხვადასხვა ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი მიძღვნილი გამოფენები.

სულ ახლახან მნახველები ინტერესით გაეცნენ სამამულო ფეხბურთის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ ექსპოზიციას, ამჯერად კი აქ გაიხსნა თბილისის დინამოელების მიერ საკავშირო ჩემპიონატში მოპოვებული დიდი წარმატებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია ფოტოსურათები, ცნობარები, ჟურნალ-გაზეთების ამონაწერები, მეგობრული შარჟები და ა. შ. ცალკე სტენდი ეთმობა დინამოელთა წარმატებებს 1964 და 1976 წლებში.

დ. ნადარეიშვილი.

• • •

სურათზე: საგამოფენო დარბაზში.



გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული შეხვედრები.

### I ჯგუფი

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 2:5. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).**

საქართველოს ახალმა ჩემპიონმა — ფოთის „კოლხეთმა“ (უფროსი მწვრთნელი ჯ. კუპუხიძე, მწვრთნელი ვ. ხინთიბიძე) განსაკუთრებული აღმაფლობით ჩაატარა შეხვედრა, უკვე მე-17 წუთზე გახსნა ანგარიში (სანაია), მერე კი ტყებუჩავამ კიდევ ორჯერ აიძულა მასპინძლები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. 50-ე წუთზე სანაიამ ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა — 4:0. ამის შემდეგ ფოთელებმა უკლეს თამაშის ტემპს, რამაც საშუალება მისცა „დურუჯს“ გაეტანა 2 გოლი (ეს ორივეჯერ მოახერხა კირიევმა). 85-ე წუთზე ქორიძემ წარმატებით დაამთავრა კოლხეთელთა ერთ-ერთი შეტევა და ამ გამარჯვების შემდეგ ფოთელთა გუნდი მიუწვდომელი გახდა მეტოქეებისთვის.

**„ივერია“ (ხაშური) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).**

ტყიბულელმა ფეხბურთელებმა (მწვრთნელი რ. ბოჭორიშვილი), რომლებმაც საუკეთესო თამაში აჩვენეს ჩემპიონატის მთელ რიგ მატჩებში, აიღეს ქულა და საპატიო II ადგილი დაიკავეს გათამაშებაში.

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).**

მეტალურგებმა აქტიურად ჩაატარეს მატჩის პირველი ნახევარი, როცა ორჯერ აიღეს მეტოქის კარი (აშაძე, ალადაშვილი). შესვენების შემდეგ მასპინძლებმა გამოასწორეს მდგომარეობა და გაქვითეს ორივე გოლი (ზვამბაია, ყოლბაია). რუსთავის „მეტალურგი“ (მწვრთნელი ბ. გვენცაძე) რესპუბლიკური ჩემპიონატის III პრიზიორი გახდა.

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 2:2. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).**

**„კოლხეთი“ (ხობი) — „ნადიკვარი“ (თელავი) 2:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).**

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — „მზიური“ (გალი) 4:3. მსაჯი ტ. ნიჩნიაძე (ქუთაისი).**

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:1. მსაჯი გ. პოლოხიანი (სოხუმი).**

სტუდენტთა უპირატესობას მოჰყვა აკოფიანისა და გიგოლაშვილის მიერ გატანილი 2 ბურთი. მატჩის მიწურულს ჭიათურელმა ლაშხმა შეძლო ანგარიშში სხვაობის შემცირება.

**ასკ (თბილისი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:0. მსაჯი გ. შავგულიძე (რუსთავი).**

არმიელთა ერთადერთი გოლი სირაძემ გაიტანა 27-ე წუთზე.

**„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ნადიკვარი“ (თელავი) 3:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).**

**„მერცხალი“ (მახარაძე) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).**

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სქური“ (წალენჯიხა) 4:3. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).**

### II ჯგუფი

#### I ზონა

„სიონი“ (ბოლნისი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 4:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:2, ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) — „გამარჯვება“ (გარდაბანი) 12:0, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:0, „იორი“ (თიანეთი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 1:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 6:2, „თრიალეთი“ (წალკა) — „მესხეთი“ (ახალციხე) 1:3, „აბული“ (ახალქალაქი) — „სიონი“ (ბოლნისი) 1:3, „არაგვი“ (მცხეთა) — „განახლება“ (ადიგენი) 4:1, „ცისკარი“ (სიღნაღი) — „ვარძია“ (ასპინძა) 2:2. ახმეტის „ფიჩხოვანს“ გამარჯვება ჩაეთვალა წალკის „თრიალეთთან“.

#### II ზონა

„ნაკადული“ (ჩხოროწყუ) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 3:1, „მეშაქრე“ (აგარა) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 0:1, „ნარუჯა“ (მახარაძე) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:3, „სენაკი“ (ცხაკაია) — „სულორი“ (ვანი) 3:4, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „მექალალდე“ (ზუგდიდი) 1:2, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „შახტიორი“ (ტყვარჩელი) 0:0, „ოჯალეში“ (ბანძა) — „გიგანტი“ (ლაითური) 2:1. აბაშის „ავტომობილისტს“ გამარჯვება ჩაეთვალა ჩხოროწყუს „ნაკადულთან“.

## საქართველოს პირველობა

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 22 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“ ფ. | 43 | 28 | 9 | 6 | 102—41 | 65 |
| „მეშახტე“ | 43 | 25 | 12 | 6 | 70—35 | 62 |
| „მეტალ.“ რ. | 43 | 26 | 7 | 10 | 71—35 | 59 |
| „მზიური“ | 44 | 23 | 10 | 11 | 76—49 | 56 |
| „მაღაროელი“ | 43 | 20 | 10 | 13 | 77—64 | 50 |
| „მერცხალი“ | 43 | 18 | 12 | 13 | 55—45 | 48 |
| „ენერგეტ.“ | 43 | 18 | 10 | 15 | 56—46 | 46 |
| „კოლხეთი“ ხ. | 43 | 17 | 12 | 14 | 45—45 | 46 |
| ასკ თბ. | 42 | 15 | 13 | 14 | 43—40 | 43 |
| „ამირანი“ | 43 | 17 | 9 | 17 | 42—57 | 43 |
| „სალხინო“ | 43 | 15 | 12 | 16 | 59—77 | 42 |
| „ნადიკვარი“ | 42 | 14 | 13 | 15 | 56—54 | 41 |
| „ივერია“ ხ. | 43 | 15 | 11 | 17 | 33—48 | 41 |
| „მეტალ.“ ზ. | 43 | 14 | 12 | 17 | 64—72 | 40 |
| ფიზკ. ინსტ. | 42 | 17 | 6 | 19 | 56—68 | 40 |
| „სპარტ.“ თბ. | 41 | 16 | 7 | 18 | 46—55 | 39 |
| „სპარტ.“ ცხ. | 42 | 14 | 9 | 19 | 65—67 | 37 |
| „ეგრისი“ | 42 | 12 | 13 | 17 | 42—57 | 37 |
| „სქური“ | 42 | 14 | 8 | 20 | 54—62 | 36 |
| „პოლ. ინსტ. | 41 | 15 | 5 | 21 | 60—63 | 35 |
| „ჩიხურა“ | 43 | 12 | 9 | 22 | 59—67 | 33 |
| „დურუჯი“ | 42 | 12 | 4 | 26 | 32—65 | 28 |

#### II ჯგუფი

### გათამაშების ცხრილები

#### I ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სიონი“ | 35 | 28 | 3 | 4 | 101—41 | 59 |
| ტაქ. № 3 თბ. | 35 | 26 | 5 | 4 | 73—24 | 57 |
| „მესხეთი“ | 35 | 27 | 3 | 5 | 78—36 | 57 |
| „ვარძია“ | 35 | 20 | 8 | 7 | 68—39 | 48 |
| „ალაზანი“ | 35 | 16 | 8 | 11 | 84—61 | 40 |
| „აბული“ | 35 | 18 | 4 | 13 | 44—44 | 40 |
| „განახლება“ | 35 | 15 | 8 | 12 | 64—52 | 38 |
| „განთიადი“ | 34 | 12 | 10 | 12 | 81—47 | 34 |
| „ქართლი“ | 35 | 14 | 6 | 15 | 84—59 | 34 |
| „იორი“ | 34 | 15 | 3 | 16 | 69—74 | 33 |
| „გარეჯი“ | 35 | 12 | 7 | 16 | 51—53 | 31 |
| „ფიჩხოვანი“ | 35 | 11 | 7 | 17 | 48—67 | 29 |
| „გარისი“ | 34 | 10 | 7 | 17 | 56—73 | 27 |
| „არაგვი“ | 34 | 8 | 9 | 17 | 51—56 | 25 |
| „ბახტრიონი“ | 34 | 5 | 13 | 16 | 33—59 | 23 |
| „თრიალეთი“ | 35 | 9 | 5 | 21 | 42—68 | 23 |
| „ჰერეთი“ | 34 | 8 | 6 | 20 | 45—88 | 22 |
| „ცისკარი“ | 35 | 7 | 8 | 20 | 44—98 | 22 |
| „გამარჯვება“ | 34 | 4 | 8 | 22 | 52—129 | 16 |

#### II ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იმერეთი“ | 30 | 24 | 5 | 1 | 73—25 | 53 |
| „სულორი“ | 30 | 24 | 3 | 3 | 77—31 | 51 |
| „შუქურა“ | 30 | 23 | 5 | 2 | 61—17 | 51 |
| „ბახმარო“ | 30 | 17 | 9 | 4 | 71—35 | 43 |
| „ჩამომსხმელი“ | 31 | 14 | 7 | 10 | 53—43 | 35 |
| „მექალალდე“ | 31 | 14 | 2 | 15 | 50—41 | 30 |
| „ავტომ.“ ა. | 30 | 10 | 8 | 12 | 31—38 | 28 |
| „ნაკადული“ | 32 | 10 | 7 | 15 | 54—57 | 27 |
| „შახტიორი“ | 30 | 11 | 3 | 16 | 34—47 | 25 |
| „ავტომობ.“ ბ. | 31 | 9 | 7 | 15 | 43—58 | 25 |
| „ნარუჯა“ | 31 | 8 | 8 | 15 | 23—50 | 24 |
| „სამგურალი“ | 31 | 6 | 11 | 14 | 22—43 | 23 |
| „ოჯალეში“ | 32 | 9 | 5 | 18 | 39—64 | 23 |
| „სენაკი“ | 31 | 7 | 8 | 16 | 47—57 | 22 |
| „გიგანტი“ | 30 | 7 | 8 | 15 | 41—60 | 22 |
| „მეშაქრე“ | 31 | 6 | 10 | 15 | 39—66 | 22 |
| „ავტომ.“ მ. | 31 | 7 | 4 | 20 | 42—68 | 18 |

### ზონალური პირველობა

„ალგეთი“ (მარნეული) — ჩაის საბჭოთა მეურნეობა (ჩაქვი) 2:1, „მადნეული“ (ბოლნისი) — „ღრმაღელე“ (ლანჩხუთი) 2:0, „ბაზალტი“ (ბოლნისი) — „ლესიჭინე“ (ჩხოროწყუ) 2:1, „მადნეული“ (ბოლნისი) — ჩაის საბჭოთა მეურნეობა (ჩაქვი) 3:1, „ბაზალტი“ (ბოლნისი) — „ალგეთი“ (მარნეული) 1:1, „ლესიჭინე“ (ჩხოროწყუ) — „ღრმაღელე“ (ლანჩხუთი) 3:2.

### გათამაშების ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლესიჭინე“ | 6 | 4 | 1 | 1 | 15—8 | 9 |
| „მადნეული“ | 6 | 3 | 1 | 2 | 10—10 | 7 |
| „ბაზალტი“ | 6 | 1 | 3 | 2 | 7—10 | 5 |
| „ალგეთი“ | 6 | 2 | 1 | 3 | 9—14 | 5 |
| „ნარინჯი“ | 5 | 2 | 0 | 3 | 12—9 | 4 |
| „ღრმაღელე“ | 5 | 1 | 2 | 2 | 7—9 | 4 |

### საჯარიმო დარტყმა

განვლილ მატჩებში კვლავ მოხდა წესრიგის დარღვევის შემთხვევები. ცხაკაიას „ეგრისის“ ფეხბურთელმა ხ. კვარაცხელიამ მატჩის დამთავრების შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა არბიტრს. მსაჯის მისამართით უცენზურო სიტყვების გამოთქმისთვის მინდვრიდან გააძევეს მაიაკოვსკის „ავტომობილისტის“ წევრი ჯ. ბერძენაძე.

მეორე გაფრთხილება მიიღეს რ. ღურწკაიამ („კოლხეთი“, ფოთი) და გ. აუშტროვმა („ჩიხურა“, საჩხერე).

გაფრთხილებულნი არიან შემდეგი ფეხბურთელები: ხ. ტაბილოვი, დ. ჟუჟუნაშვილი და ხ. დამგაროვი (ყველა — „ალგეთი“, მარნეული), მ. მერაბიშვილი („ეგრისი“, ცხაკაია), რ. ხანჩლიანი („მერცხალი“, მახარაძე), ბ. ცაავა (ფიზკულტურის ინსტიტუტი), გ. კირვალიძე („ნადიკვარი“, თელავი), ო. წიკლაური („ჩიხურა“, საჩხერე), ა. კვეკვესკირი და ზ. მუკბანიანი (ორივე — ასკ, თბილისი), დ. ჟვანია („ამირანი“, ოჩამჩირე), ვ. მოზღუხინი („მეტალურგი“, რუსთავი).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

# სპორტული ბიოგრაფიის პირველი გვერდები



**დარბაზში** დაღვრილი მუსიკა, დროდადრო მწვრთნელის შენიშვნები. უხმოდ, დაუღალავად ვარჯიშობენ გოგონები. ჰაერში ფერად-ფერადი ლენტები ფრიალებენ, გაბდღვრიალებული ნათურების შუქზე ბურთები პრიალებენ...

მოთვინიერებულივით მისდევს ბურთი წითელმაისურიან გოგონას. მკვეთრი, მოხერხებული, გამოკვეთილი მოძრაობები აქვს მას — თბილისის № 51 საშუალო სკოლის მერვეკლასელ მოსწავლეს, ოსტატობის კანდიდატს მაია ნადიბაიძეს. იგი 10 წლის იყო მეცადინეობა რომ დაიწყო მხატვრულ ტანვარჯიშში, ნელი სალაძის ჯგუფში მოხვდა და საგრძნობ წარმატებასაც მიაღწია.

ოჯახიდან მოსდევს სპორტის სიყვარული. მამა ახალგაზრდობაში ტანვარჯიშით იყო გატაცებული, ძმა ვლადიმერი კი — ჭიდაობით.

— მთიულური მოქნილობა გამოკრთის მაიას ყოველ მოძრაობაში, მისთვის დამახასიათებელია გამოკვეთილი, სტილიზებული ვარჯიში. თვითონაც ნაზია, მგრძნობიარე, ემოციური, — ამბობს მწვრთნელი, სპორტის საპატიო ოსტატი ნ. სალაძე.

გვინდა ვიფიქროთ, რომ გულმოდგინე ყოველდღიური მუშაობით მაია ბევრს მიაღწევს, რადგან ამთავითვე დიდ იმედს იძლევა. ნორჩმა ტანმოვარჯიშემ წელს აგვისტოში, ყვარელში გამართულ ტურნირზე პირველობა მოიპოვა ბურთით ვარჯიშში. დღეს მაია ახალი შეჯიბრებისთვის ემზადება: 1-3 დეკემბერს გაიმართება საქართველოს თასის გათამაშება, ხოლო 15-16 დეკემბერს — თბილისის პირველობა.

ნორჩი სპორტსმენის მოკრძალებულ სპორტულ ბიოგრაფიაში ახალი გვერდები ჩაიწერება.

მანანა სამადაშვილი.

* * *

სურათზე: ვარჯიშობს მაია ნადიბაიძე.

ა. საკოვის ფოტო.

კალათბურთი

# გამარჯვების ფინიში

საბჭოთა კლუბების ნაკრებმა თავისი ტურნეს ბოლო შეხვედრა ამერიკის შეერთებულ შტატებში არკანზასის შტატის ქალაქ ლიტლროკში გამართა. 10000 მაყურებლის თანდასწრებით მათ უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში თავიანთი მეცხრე გამარჯვება მოიპოვეს — 81:79.

მასპინძელთა გუნდში თამაშობდა ამერიკაში მეტად პოპულარული მცველი ს. მანკრიფი, რომელსაც ფენომენალური ხტომისა და პაერში დაყოვნების შესანიშნავი უნარი აქვს, ამავე დროს ბრწყინვალედ ტყორცნის შორიდან. სწორედ მისი წყალობით დაწინაურდნენ მასპინძლები (10:4) და ათივე ქულა გუნდს მანკრიფმა მოუტანა.

ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — 69:69. გამარჯვებული ვერც პირველმა დამატებითმა დრომ გამოავლინა და მხოლოდ მეორე დამატებით 5 წუთში, როცა 45 წამი რჩებოდა, ვ. ჟიგილიიმ გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო.

ამრიგად საბჭოთა სპორტსმენებმა აშშ-ში 13 მატჩი გამართეს და 9 თამაში მოიგეს.







10 ათასზე მეტ ფიზკულტურელს აერთიანებს ფრუნზეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის სპორტული კლუბი, რომელიც უდიდესია ყირგიზეთის რესპუბლიკაში.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ქარხნის სტადიონზე; მამებს გულშემატკივრობენ; ქარხნის ტურისტები ყირგიზეთის მთებში.

საკდესის ფოტო.

ჩვენი ქვეყანა კალენდარი

# ბუენოს-აირესული „შვეიცარიული სისტემა“

## როგორ მოხდა ეს?

1927 წლიდან ტარდება მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადები, მაგრამ წლეულს საბჭოთა დიდოსტატებმა თავიანთ თავზე პირველად გამოსცადეს, ეგრეთ წოდებული, შვეიცარიული სისტემა. წინათ „ერების ტურნირი“, რომელშიც სსრ კავშირის ნაკრები მონაწილეობდა, წრიული სისტემით ტარდებოდა.

რას წარმოადგენს შვეიცარიული სისტემა? მაინც როგორ მიმდინარეობდა ასპარეზობა ბუენოს-აირესში? საკდესის სპორტულ რედაქციაში შემოსული მრავალრიცხოვანი შეკითხვებიდან ჩანს, რომ ეს საკითხი აინტერესებს ჩვენი ქვეყნის ათასობით ჭადრაკის მოყვარულს. ვასრულებთ მათ თხოვნას.

ბუენოს-აირესი. ახლახან არგენტინის დედაქალაქში დამთავრებულ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის დროს, რომელშიც 64 გუნდი მონაწილეობდა, ყოველ დილით საბჭოთა დიდოსტატი იური ავერბახი ეცნობოდა წინა დღის ყველა გადადებულ პარტიას, არჩევდა პოზიციებს და ცდილობდა, რაც შეიძლება, ზუსტად ეწინასწარმეტყველა საბოლოო შედეგი. ამ „შედეგების“ ჩათვლით დგებოდა ცხრილი, რომელშიც გუნდები განლაგებული იყო მათ მიერ მოგროვებული (და ავერბახის მიერ ნავარაუდევი) ქულების მიხედვით. საბჭოთა დიდოსტატის მიერ წარმოდგენილი თითოეული პარტიის დაახლოებითი შედეგი შეჰქონდათ კომპიუტერში და შუადღისას ცნობილი იყო, თუ რომელი გუნდი რომელს შეხვდებოდა მორიგ ტურში, ამასთან — რა ფერით ითამაშებდა ამა თუ იმ დაფაზე მოჭადრაკე.

ამ ინფორმაციას დაუყოვნებლივ ღებულობდა ოლიმპიადის პრესის სამსახურის უფროსი ალდო ხორხე პრომეტო (იგი ამავე მოვალეობას ასრულებდა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დროს) და აცნობდა ყველას.

სამუშაო რთული იყო. ყოველ შემთხვევაში, როგორც პრენსა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი იუწყებოდა, ოლიმპიადის ჩატარების ამჟამინდელი სისტემის გამოყენება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციისა და მდიდარი გამოცდილების მქონე სპეციალისტთა ჯგუფის წყალობით, რომელიც დილიდან მომავალი დილის 4 საათამდე თავდაუზოგავად შრომობდა და მხოლოდ ამ გზით გახდა შესაძლებელი, რომ გუნდების წილისყრის შედეგები ტურის დაწყებამდე დაახლოებით სამი საათით ადრე იყო ცნობილი.

როგორც ცნობილია, წინა ოლიმპიადებში წრიული სისტემით თამაშობდნენ და იმარჯვებდა ის, ვინც ქულათა ყველაზე მეტ რაოდენობას მოაგროვებდა. მაგრამ იზრდებოდა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდე) რიგები და ამასთან ერთად იზრდებოდა დიდ საჭადრაკო ტურნირებში მონაწილეობის მსურველი გუნდების რაოდენობაც. ამიტომ დაიწყეს წრიული სისტემის სრულყოფა. ცდილობდნენ ტურების რაოდენობის შემცირების ხარჯზე შეემცირებინათ შეჯიბრების საერთო ხანგრძლივობა. კერძოდ, დაიწყეს გუნდების დაყოფა ჯგუფებად, რომელთაგან საუკეთესო ნაკრებები (კვლავ მოგროვებული ქულების შესაბამისად) ფინალში გადიოდნენ. მაგრამ, ვინაიდან ოლიმპიადებში მონაწილე ნაკრებთა რაოდენობა კვლავ იზრდებოდა, გადაწყვიტეს შვეიცარიული სისტემის გამოყენება.

ეს სისტემა პირველად გამოიყენა შვეიცარიის მუშათა საჭადრაკო კავშირმა და სახელწოდებაც აქედან წარმოიშვა. წრიულ სისტემასთან შედარებით მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მონაწილეთა რაოდენობის მიუხედავად შეიძლება ტურების განსაზღვრული რაოდენობის ჩატარება. გამარჯვებულის უფრო ობიექტურად გამოსავლენად შემდეგნაირად იქცევიან: უპირველესად, დროისა და საშუალებათა მიხედვით დგინდება ტურების რაოდენობა. ეწყობა წილისყრა, რის შედეგად მონაწილეები ღებულობენ შეჯიბრების ბოლომდე „მომქმედ“ ნომრებს. I ტურში პირველი მონაწილე (ან გუნდი) თამაშობს მეორესთან, მესამე — მეოთხესთან და ა. შ. ამასთან კენტი ნომრები ხელმძღვანელობენ თეთრ ფიგურებს. მონაწილეთა რაოდენობა აუცილებლად ლუწი უნდა იყოს (რამაც ბუენოს-აირესის ოლიმპიადის ორგანიზატორები აიძულა 63 გუნდისთვის დაემატებინათ არგენტინის II ნაკრები). მეორე და ყველა მომდევნო ტურებში შეძლებისდაგვარად ერთმანეთს ხვდებიან ერთნაირი ქულების მქონე მონაწილეები (ან გუნდები). წყვილების შესადგენად ყოველი ტურის დაწყების წინ ტარდება წილისყრა ქულათა თანაბარი რაოდენობის მქონე გუნდებს შორის. მაგრამ უკვე ერთმანეთთან ნათამაშევი მონაწილეები მეორედ აღარ ხვდებიან: ასეთ შემთხვევაში ისინი ეჯიბრებიან იმ მეტოქეს, რომელიც ყველაზე ახლოსაა ცხრილში. შეძლებისდაგვარად ხდება ფიგურების ფერების მონაცვლეობა. მორიგი ტურის წინ აუცილებლად უნდა გამოვლინდეს ყველა გადადებული პარტიის შედეგი თამაშების დამთავრების გზით, ან ავერბახის მეთოდით.

სსრ კავშირში შვეიცარიულ სისტემას შედარებით იშვიათად იყენებენ, ამიტომ ბუენოს-აირესში ჩვენი გუნდი, შეიძლება ითქვას, რამდენადმე უჩვეულო პირობებში აღმოჩნდა. ტრადიციული წრიული სისტემის დროს, შეიძლება წინასწარ გაიგო, ვინ იქნება მეტოქე და უფრო ზუსტად შეადგინო გუნდი ამა თუ იმ ტურისთვის. შვეიცარიული სისტემით კი პირველობის ბედი შეიძლება გადაწყვიტოს ერთ-ერთ ტურში — ამასთან არა თუ პირველ დაფაზე, არამედ ნებისმიერზე — თუნდაც ბოლო — მეოთხეზე დაკარგულმა ნახევარმა ქულამ. ერთი სიტყვით, შვეიცარიული სისტემის დევიზია — სტარტიდან მოყოლებული ფინიშამდე იბრძოლო არა მარტო თითოეულ მატჩში, არამედ თითოეულ დაფაზე, თითოეულ მეტოქესთან.

ბევრნი ფიქრობენ, რომ შვეიცარიული სისტემის დროს შეიძლება ბევრ შემთხვევითობას წავაწყდეთ, მაგრამ სპეციალისტები ირწმუნებიან, თითქოს ასეთი შემთხვევითობები შეიძლება მოხდეს მხოლოდ 8-10 ტურისგან შემდგარ შეჯიბრებაში, მაგრამ მაშინ, როცა უნდა გათამაშდეს 14 ტური (როგორც ეს არგენტინაში იყო) — არა. რაც შეეხება მორიგი მეტოქის „არცოდნას“, აქ თანაბარი მდგომარეობა აქვს ყველა გუნდს...

ასეა თუ ისე, თანხების ეკონომიის მიზნით ოლიმპიადების ჩატარების დროის შეზღუდვას, მაგალითად ჯერ რეგიონალური, ხოლო შემდეგ ფინალური შეჯიბრებების ჩატარებას მოჭადრაკეები უარყოფენ. ისინი თავიანთ დიდ გუნდურ შეჯიბრებას თვლიან, როგორც ფიდეში გაერთიანებულთა მნიშვნელოვან შეხვედრას. (საკდესი).



ს უ რ ა თ ზ ე: ტროპიკული ვარდებისგან გაკეთებული ტრადიციული გვირგვინი ამჯერად მსოფლიო პირველობაში გამარჯვებული, პლანეტის უძლიერესი მოჭადრაკის ანატოლი კარპოვის ჯილდოა. ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტი ბ. კაჟინი მას მსოფლიო ჩემპიონის მედალს გადასცემს.

საკდესის ფოტო.

# ლ. რ. ხვიჩია

გარდაიცვალა [illegible] საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის [illegible] აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე, აჭარის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ლევან რაჟდენის ძე ხვიჩია.

ლ. ხვიჩია დაიბადა 1916 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეში. მას ახალგაზრდობიდანვე უყვარდა სპორტი, განსაკუთრებით — ფეხბურთი. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ლ. ხვიჩია ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში და მამაცურად იბრძოდა ფრონტზე. ომის დამთავრების შემდეგ იმყოფებოდა პარტიულ და სამეურნეო სამუშაოზე.

1961 წლიდან ლ. ხვიჩია იყო ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი, 1963-1975 წლებში — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე, ხოლო 1975 წლიდან — საოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის წევრი.

1960 წლიდან უკანასკნელ დღემდე ლ. ხვიჩია აჭარის ფეხბურთის ფედერაციას ხელმძღვანელობდა. იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წევრი. მან ბევრი გააკეთა აჭარის სპორტის განვითარების, პირველ რიგში ფეხბურთის აღორძინებისთვის. ლ. ხვიჩიას უშუალო ინიციატივით და მონაწილეობით აჭარაში აშენდა ბევრი მოედანი და სპორტბაზა, აღიზარდა ახალგაზრდა სპორტული კადრები.

ლ. ხვიჩიას ხსოვნა დაუვიწყარი იქნება მისი მეგობრების, აჭარის სპორტული საზოგადოებრიობისათვის.

აჭარის სპორტკომიტეტი,
საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია,
აჭარის ფეხბურთის ფედერაცია.

# „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები საერთაშორისო ოლიმპიური „სპორტლოტოს“ II გამოშვების ტირაჟისა, რომელიც 15 ნოემბერს შედგა პრაღაში.

ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 10000 მანეთია (48 ბილეთი); ოთხისთვის — 149 მან. (6976 ბილეთი); სამისთვის — 7 მან (134220 ბილეთი).

ამ ტირაჟის ფულად მოგებათა გაცემა და „ოლიმპიადა-80“-ზე დასასწრები ტურისტული საგზურების გაფორმება იწარმოებს ამ. 26 ნოემბრიდან 26 დეკემბრის ჩათვლით.

საერთაშორისო ოლიმპიური „სპორტლოტოს“ III გამოშვების ტირაჟი შედგება 1979 წლის 14 თებერვალს ბუდაპეშტში. ამ გამოშვების „სპორტლოტოს“ ბილეთების გაყიდვა დაიწყო.

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტო 6—49-დან“ და „სპორტლოტო 5—36-დან“ 45 ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო — 5—36-დან“ პირველ გათამაშებაში ხუთი გამოცნობილი ნომრისთვის მოგება შეადგენს 6389 მანეთს, ოთხისთვის — 148 მან; სამისთვის — 6 მან.

მეორე გათამაშებაში, მათთვის ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მოგება 3023 მანეთია, ოთხისთვის — 36 მან; ხოლო სამისთვის — 3 მან.

„სპორტლოტო 6—49-დან“. ... ნი ვინც პირველ გათამაშებაში ხუთი ნომერი გამოიცნო, მიიღებენ 2426 მანეთს, ოთხი პლიუს ერთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 66 მანეთია, ოთხისთვის — 41 მან; სამისთვის — 3 მან.

მეორე გათამაშებაში ხუთი ნომრის გამომცნობნი 1385 მანეთს მიიღებენ, ოთხი პლიუს ერთი ნომრის გამოცნობისთვის — 62 მანეთს; ოთხისთვის — 37 მან; სამისთვის — 3 მან.

რედაქტორი ა. ბასილაია.

ბაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-07-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 13391